პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ივნისი, ოთხშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 132 (15953)

---- დეპუტატობის კანდიდატები ----

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლის შრომა

ხალხის სიყვარული და აღიარება უმაღლესი ჯილდოა ყოველი შემოქმედისათვის. და ეს ჯილდო ღირსეულად მოიპოვა თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებითა და მოღვაწეობით გრიგოლ აბაშიძემ — გამოჩენილმა პოეტმა, პროზაიკოსმა და დრამატურგმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ. ამიტომაც დაასახელა იგი ჩვენმა ხალხმა თავის რჩეულთა შორის. გრიგოლ აბაშიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ეროვნებათა საბჭოს ზესტაფონის № 175 საარჩევნო ოლქში.

წერილი გრ. აბაშიძის შესახებ იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე.

ხ ა ტ ი ს ა თ ვ ი ს: გრიგოლ აბაშიძე.

ხ. კილაძის ფოტო.

ადამიანი და სიუხვე მიწისა

სოფლის მეურნეობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია იმ გზით, რომ გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უპირველეს გამოვიყენოთ მელიორირებული მიწები, აპაოძლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დონე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის დადგენილებიდან.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ განიხილა საქართველოსათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხები: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიხედვით რესპუბლიკაში სამელიორაციო სამუშაოების განხორციელების, მელიორირებული მიწების გამოყენების მდგომარეობის, აგრეთვე მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი; საქართველოს სსრ წესის კოდექსის პროექტი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ანგარიში.

როგორც სესიაზე აღინიშნა, შარშან საქართველოს სოფლის მეურნეობამ მოიპოვა გარკვეული წარმატებები. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გასულ წელს გაიზარდა 8,4 პროცენტით, მათ შორის საზოგადოებრივ მეურნეობებში 12.3 პროცენტით. ნიდაშარ შეიძლება ითქვას, რომ ახეთი ტემპი საქართველოს სოფლის მეურნეობას წარსულში არც ერთ წელს არა ჰქონია. ამან განაპირობა სწორედ ქალაქის მოსახლეობის მომარაგების საგრძნობი გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

მაგრამ ის, რასაც გასულ წელს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. რასაც ჩვენი სოფლის მშრომელებმა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მიაღწიეს, ზღვარი არ არის. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, წინ ახალ-ახალი ზღვრებია დასაპყრობი. და რომ ავიღოთ ეს ზღვრები, საჭიროა საქართველოს სოფლის მშრომელებმა ენერგიის დაუზოგავად იშრომონ, მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ზრუნვას უპასუხონ გაასკეცებული ენერგიით, სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის სასახელო შრომით.

სესიაზე მოახსენებლებმა და მოკამათეებმა მოიყვანეს ბევრი ფაქტი, თუ მთელი რიგი წლების მანძილზე როგორ უეჭველად, დაუდევრად იხარჯებოდა სახელმწიფო სახსრები, როგორ უსულგულობას იჩენდა ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, სპეციალისტი მინდობილი საქმისადმი.

საქართველო მთელ კავშირში ერთ-ერთი მცირემიწიანი რესპუბლიკაა. ამიტომ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ჰექტარი მიწის გონივრულად გამოყენებას, მოსავლიანობის გადიდებას, სარწყავი მიწების მაღალნაყოფიერად გამოყენებას, მეცხრე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში მიწების დაშრობის, სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციისა და წყლით უზრუნველყოფის, ხაძოვრების გაწყლოვანებისა და რეკონსტრუქციის გეგმით გათვალისწინებული დავალებები მართალია შესრულდა, მაგრამ, რაც მთავარია, არ შესრულებულა მიწების გასარწყავების დავალება. გეგმით გათვალისწინებული 31 ათასი ჰექტარის ნაცვლად ექსპლოატაციაში შევიდა 24,2 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწა, ანუ 6,8 ათასი ჰექტარით ნაკლები, რასაც დამატებით შეეძლო ყოველწლიურად მოეცა 10 მილიონ მანეთისაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები. წინა სამ წელიწადში საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა თანხებიდან ვერ აითვისა ხუთი მილიონი მანეთი. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მიმდინარე წლის ოთხ თვეშიც.

საქართველოში ამჟამად 361 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწებია, ხოლო დაშრობილია 103,5 ათასი ჰექტარი. ერთი სულ მოსახლეზე მელიორირებული მიწების რაოდენობა 0,11 ჰექტარია, ხოლო საბჭოთა კავშირში ეს მაჩვენებელი 0.09 ჰექტარს არ აღემატება. გამოდის, რომ ჩვენთან ამ მხრივ ურიგოდ არ უნდა იყოს საქმე. მაგრამ იმის გამო, რომ ბევრ რაიონში ცუდად იყენებენ-მელიორირებულ მიწებს, მოსავლიანობა მცირეა. ეს იმის გამო ხდება, რომ რწყვას ბევრგან სათანადო ყურადღება არ ექცევა, ირღვევა რწყვის ვადები, უხარისხოდ რწყავენ, ხოლო ზოგან სულაც არ რწყავენ ნათესებს, სარწყავ მიწებზე სათანადოდ არ იყენებენ სასუქებს, არ ხორციელდება აგროტექნიკით გათვალისწინებული კომპლექსური ღონისძიებანი.

სარწყავ მიწებზე მოსავლიანობის რა გადიდებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შარშან 1.243 ჰექტარი სარწყავი და 4.400 ჰექტარი დაშრობილი მიწა დაუთესავი დარჩა. გარდა ამისა, არცერთხელ არ მორწყულა 79 ათასი ჰექტარი მიწა, რაღა თქმა უნდა, ახეთ შემთხვევაში მცირდება მოსავლიანობა. თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა სარწყავ მიწებზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 11.8 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა — 12,8 ცენტნერი სიმინდი. ხილის მოსავლიანობამ ხაშურის რაიონში შეადგინა 21 ცენტნერი, ლაგოდეხში—16, მცხეთაში—24, ბოლნისში — 25 ცენტნერი. ახეთ არასწორ, საქმისათვის მაგნე პრაქტიკას მომავალში ბოლო უნდა მოეღოს, სარწყავი მიწები ყველაზე უხვმოსავლიანად უნდა გადავაქციოთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის ანგარიშში ბევრი საკირბოროტო საკითხი იყო დაყენებული იმის შესახებ თუ როგორ ზრუნავენ პარტია და საბჭოთა მთავრობა ადამიანის კეთილდღეობისათვის, გონივრული შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. გაკიტიკებულ იქნა მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც ვერ ახრულებენ გეგმებს. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მესამე სამმართველომ მექანიზმების შეკეთების გეგმის შესრულებას 6,5 პროცენტი დააკლო, ტრესტ „ინგმშენის“ მექანიზაციის სამმართველომ — 18,5 პროცენტი, მშენებლობის სამინისტროს პირველმა სამმართველომ — 18,4 პროცენტი. ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საჭირო რეკომენდაციები მიეცა შესაბამის სამინისტროებსა და საბჭოებს აღმასკომებს.

შენდება ზემო ალაზნის არხი, დიდძალი თანხებია გამოყოფილი კოლხეთის დასაშრობად, დამლაშებული მიწების ასათვისებლად, მიწის ნაყოფიერების გასაადიდებლად. ახლა მთავარია გონივრულად, დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ ყოველი მანეთი, სრულყოთ მიწის დამუშავების კომპლექსური ტექნოლოგია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყოველი ჰექტარი მიწა და განსაკუთრებით სარწყავი, უხვმოსავლიანი იყოს. ახეთია საბრძოლო ამოცანა, რომელიც საქართველოს ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობით უნდა შესრულდეს.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მ. ძური

7 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი მ. ძური, რომელიც ოფიციალური ვიზიტით არის აქ.

გაიმართა მეგობრული გულითადი საუბარი, რომლის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში ი. გაველკა.

ივნისი 16 კვირა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

დიდი ნდობა

კიდევ უფრო ამაღლდა მუშათა კლასის როლი კომუნისტურ მშენებლობაში, განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი. გრძელდება ჩვენი საზოგადოების კლასებისა და სოციალური ჯგუფების დაახლოების პროცესი. კიდევ უფრო განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური გრძნობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემართველან ყველა ამომრჩეველისადმი, მოკალაქესადმი.

ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან

ხტუპინო (ზოსკოვის ოლქი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების მოსკოვის ოლქის კავშირის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები დღეს აქ შეხვდნენ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს.

კრება გახსნა პარტიის სტუპინოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. მ. მახოვმა.

შეხვედრის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ზაბინ (როსტოვის ოლქი). ნ. პოგოდინის სახელობის დრამატულ თეატრში ზაბინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ზაბეიულ ხერგეს-ძე ხოლმომენცევს.**

შეხვედრის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

„როსტოვენერგოსაშენის“ კომბინატის „აიუტინსკაიას“ ზაბინის საწარმოდ სანგრეკის მუშათა ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ვ. იამნოვმა—დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა—ილაპარაკა მ. ს. სოლომენცევის ცხოვრების გზაზე. მან მოიწოდა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის წარმომადგენლებს.

თვითონ გამოსულებში ამომრჩეველმა ილაპარაკეს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც დონელ მშრომელებში გაბიოწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მომართვის სიტყვებმა. მათ მხურვალედ მოიწონეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

„როსტოველენერგოსაშენის“ კომბინატის „აიუტინსკაიას“ ზაბინის საწარმოდ სანგრეკის მუშათა ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ვ. იამნოვმა—დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა—ილაპარაკა მ. ს. სოლომენცევის ცხოვრების გზაზე. მან მოიწოდა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის წარმომადგენლებს.

თვითონ გამოსულებში ამომრჩეველმა ილაპარაკეს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც დონელ მშრომელებში გაბიოწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მომართვის სიტყვებმა. მათ მხურვალედ მოიწონეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

„როსტოველენერგოსაშენის“ კომბინატის „აიუტინსკაიას“ ზაბინის საწარმოდ სანგრეკის მუშათა ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ვ. იამნოვმა—დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩეველებმა თქვეს, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ, საქმიანობას, რომლის მიზანია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება. ორატორებმა მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას ხალხზე, ჩვენი სამშობლოს შემდგომ გაძლიერებაზე ყოველდღიური ზრუნვისათვის. ისინი ადასტურებდნენ, რომ მშრომელები ესწრაფვიან არჩევნების დღე აღნიშნონ ახალი წარმატებებით მეცხრე ხუთწლედის ვიგეგმების შესრულებაში.

დამსწრენი გულთბილად შეხვედნენ ვ. ვ. შჩერბიცკის, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა. მან დიდი და გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველს, რომლებმაც დიდი ნდობა აღმოუჩინეს და დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ვ. ვ. შჩერბიცკიმ აღუთქვა მათ, რომ მთელ თავის ყოველდღიურ მუშაობაში ძალღონეს არ დაიშურებს საყვარელი სამშობლოს, ჩვენი შესანიშნავი ხალხის საკეთილდღეოდ.

(საკდესი).

მუჰამედ დაუდი მოსკოვიდან გაემგზავრა

7 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრა ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი. იგი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

სამშობლოში მიმავალი მუჰამედ დაუდი ტაშკენტში ჩამოსდება.

ავღანეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მ. დაუდი გაცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვებმა.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სამი გვარემის ჯარების საპატიო ყარაული, შესრულდა სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ვ. პოდგორნიმ და მ. დაუდმა საბჭოთა მეომრების მწყობრს ჩამოუარეს.

ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრს მოგზაურობაში ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთის რესპუბლიკაში ა. მ. პუშანოვი.

მუჰამედ დაუდთან ერთად გაემგზავრნენ ვაჭრობის მინისტრი მ. ხან. ჯალალარი, დაგეგმვის მინისტრი ა. ა. ბორამი, საგარეო საქმეთა მინისტრის პოლიტიკური მოადგილე ვ. ადიული, სხვა ავღანელი სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე ავღანეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნურ ამმედ ეთემადი. (საკდესი).

შეხვედრა ფინელ იურისტებთან

საქართველოს დედაქალაქში ორი დღეს იყვნენ სტუმრად ფინელი იურისტები — იუსტიციის მინისტრი მ. ლოუეკოსკი მეუღლეთურთ, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტი ა. ნოორვალა, იუსტიციის სამინისტროს სტატს-მდივანი კანცელარიის გამგე კ. კორტე. ქვეყანაში მოგზაურობის დროს ფინელ იურისტებს ახლავს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ნ. ოსტროვი.

თბილისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიღების დროს, ფინელი იურისტები ესაუბრნენ ქართველ კოლეგებს. დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ეწვივნენ თელავს, გურჯაანს, მცხეთასა და ფასანაურს. (საქინფორმი).

საარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა

ყველა კატეგორიის მეურნეობებში, ტონობით 1974 წლის 3 ივნისისათვის

	წყლიანი ტანგის ფოთლებისათვის ერთად	ამ ფოთლებიდან ტანგის ბარგზე	მათ შორის ამრიელ-ივნისში	ფაქტ. შესყიდულია	ტანგზე ფოთლებისა ერთად	ტანგზე ფოთლებისა	მათ შორის ამ-რიელ-ივნისში	1973 წ. ამავე თარიღისათვის მოგროვილი იყო სულ	1974 წლის პროგრამ-ტონით 1973 წელთან შედარებით
					შესრულების პროცენტი				
აფხაზეთის ასსრ	57060	55063	28086	15829	28	29	56	15384	103
სოხუმის	529	519	261	186	35	36	71	167	111
გულრიფშის	1710	1690	865	560	33	33	65	547	102
გალის	30182	29117	14854	8601	29	30	58	8008	107
გუდაუთის	4400	4310	2200	862	20	20	39	777	111
ოჩამჩირის	20239	19427	9906	5620	28	29	57	5885	96
აჭარის ასსრ	44000	43517	22196	15527	35	36	70	12362	126
ხელვაჩაურის	13200	12857	6559	5389	41	42	82	4115	131
ქობულეთის	30150	30040	15321	9908	33	33	65	8099	122
ქედის	650	620	316	230	35	37	73	148	155
მახარაძის	51910	50358	25953	12879	25	26	50	12677	102
ზუგდიდის	37600	36995	18868	11784	31	32	62	10316	114
წალენჯიხის	18650	18430	9409	4847	26	26	52	4093	118
ბაღდათის	13850	13702	6988	4978	36	36	71	4042	123
ლანჩხუთის	13610	13255	6759	4749	35	36	70	4182	114
ჩხოროწყუს	12100	11700	5969	4472	37	38	75	3578	125
ჩოხატაურის	8170	8012	4085	2861	35	36	70	2226	129
წყალტუბოს	7060	6793	3465	2425	34	36	70	2078	117
ცაგერის	7000	6862	3502	2305	33	34	66	2163	106
წულუკიძის	5800	5660	2887	2159	37	38	75	1750	123
ტყიბულის საქალაქო									
საბჭო	5800	5720	2917	1081	19	19	37	1434	75
ხობის	5440	5306	2708	1992	37	38	74	1714	116
სამტრედიის	1760	1646	840	587	33	36	70	527	111
აბაშის	520	520	262	250	48	48	95	252	99
თერჯოლის	730	700	357	309	42	44	87	264	117
ვანეთის საქალაქო									
საბჭო	520	410	210	84	16	20	49	122	69
ვანის	360	351	179	153	43	44	85	118	130
ზესტაფონის	—	—	—	13	—	—	—	15	—
სულ	292000	285000	145640	89271	31	31	61	79302	113
ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	62746	61146	31191	20478	33	33	66	18510	111

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

292.000 ტონა ჩაისათვის!

რუსეთის დიდება და სიამაყე

ა. ს. პუშკინის დაბადების 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო

ალექსანდრე სერგეს-ძე პუშკინის იუბილე ჭეშმარიტად საყოველთაოსახალხო დღესასწაულად, მისი უკვდავი ქნარის ზეიმად გადაიქცა.

რუსული ლიტერატურის გენიისადმი სიყვარულის გამოხატულება იყო ხაზეიმო საღამო, რომელიც 6 ივნისს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ყვავილებით მორთულ სცენაზე მორნს ა. ხ. პუშკინის დიდი პორტრეტი. პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ე. ი. დოლგიხი, რომელთაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მათთან ერთად არიან ცნობილი საბჭოთა მწერლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საღამო გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. მარკოვმა.

„სიტყვა პუშკინის შესახებ“ წარმოთქვა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ვ. დ. ფიოდოროვმა.

ალექსანდრე სერგეს-ძე პუშკინის შესახებ ბატონობდა ამ საღამოს კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ზ. ბ. ბეგეგოვი

7 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ზ. ბ. ბეგეგოვი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით არის აქ.

გაიმართა მეგობრული გულითადი საუბარი, რომლის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში ი. გაველკა.

კომუნისტური მოძრაობის ახალი წარმატებებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის მეხუთე წლისთავის გამო

ხუთი წლის წინათ, 1969 წლის ივნისში, მოსკოვში გაიმართა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი. ამ თათბირზე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა, ანალიზი გაუკეთეს რა მდგომარეობას, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა 60-იანი წლების ბოლოსათვის, გამოიტანეს შეთანხმებული შეფასებები და დასკვნები საზოგადოებრივი განვითარების ძირეულ საკითხებზე, გამომუშავეს ერთიან ანტიიმპერიალისტურ მოქმედებათა კონკრეტული, რეალისტური პლატფორმა, განსაზღვრეს გზები კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე.

თათბირი, — თქვა სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო კომუნისტთა საერთაშორისო ერთიანობის განმტკიცებისა და მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების კონსოლიდაციის გზაზე. მან ბევრი რამ გააკეთა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელ რიგ დებულებათა განვითარებისათვის თანამედროვე ვითარების შესაბამისად. დადასტურდა, რომ მომქმ პარტიების ურთიერთობის ასეთი ყველაზე ფართო და წარმომადგენლობითი ფორმა შეესაბამება კომუნისტური მოძრაობის როგორც ინტერნაციონალური ძალის მოთხოვნილებებს".

გასული წლების ამბებმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ თათბირი არა მარტო ახალი ეტაპი იყო კომუნისტური მოძრაობების განვითარებაში, არამედ მან ისტორიული როლიც შეასრულა მთელი კაცობრობის ცხოვრებაში, იგი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო ხალხებისათვის ხელსაყრელ მხარეზე მსოფლიო მოვლენათა ამ მობრუნების განხორციელებას, რომელიც ამჟამად ხდება. პარტიათა დამტკიცებული თათბირის ძირითად შეფასებათა და დასკვნათა სისწორე, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში მოწინავე საზოგადოებრივი ძალების მოქმედების ერთიანობის ამ პროგრამის ეფექტურობა, რომელიც ამ თათბირმა წამოაყენა. ისტორიულად მოკლე ხანში ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც აღნიშნულია თათბირის მიერ, მოხერხდა დიდი შედეგების მიღწევა.

მთელი ამ წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სხვა მოძმე პარტიებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა თათბირის იდეების რეალიზაციაში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დიდი ღონისძიებანი კომუნისტური საზოგადოების საფუძვლების შშენებლობაში და ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში დიდი წვლილი იყო მთელი მსოფლიოს კომუნისტების ძალთა საერთო დაბადებაში.

I.

1969 წლის თათბირი შეიკრიბა იმ მომენტში, როცა მთავრდებოდა ომისშემდგომი განვითარების რთული პერიოდი, მსოფლიო ასპარეზზე შეუპოვარი ბრძოლის მსვლელობაში შეიქმნა ძალთა ახალი შეფარდება. სოციალიზმი სულ უფრო განსაკუთრებულ თავის როლს როგორც კაცობრობის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი. იმპერიალიზმმა დაკარგა ინიციატივა. ომმოჩნდა სოციალიზმთან შედარებით სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობის, სოციალისტური სისტემისათვის ძირის გამოთხრის მისი იმედების უსაფუძვლობა. იქმნებოდა რეალური წინაპირობები საერთაშორისო პოლიტიკაში მობრუნების მისაღწევად — „ცივი ომიდან", ორი მსოფლიო სისტემის მშვიდ სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციიდან დაძაბულობის შენელებისაკენ, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის მქონე სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის ფართო აღიარებისაკენ.

ამის შედეგად შეიქმნა ახალი შესაძლებლობანი ყველა რევოლუციური და პროგრესული ძალების შემდგომი წინწაწევისათვის. 1969 წლის თათბირის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან დარაზმა კომუნისტები, ყველა ანტიიმპერიალისტური ძალები „ამ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

თათბირმა აღნიშნა, რომ სოციალისტური სამყაროს შედეგ განვითარების ახალ ხანაში, როცა მისი წარმატებები გადამწყვეტად უზრუნველყოფენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა უპირატესობას იმპერიალიზმთან შედარებით. გასული ხუთი წლის ამბებმა დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენა, რომ სწორედ სოციალისტური თანამეგობრობაა მთავარი ძალა საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმეში, ხალხთა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

გაიზარდა სსრ კავშირის. მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება. ხუთი წლის მანძილზე (1968-1973 წწ.) ეკონომიკა ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში სამრეწველო წარმოების ზრდამ მიაღწია წელიწადში საშუალოდ 7,9 პროცენტს — ნაცვლად 5,3 პროცენტისა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. თავისი ეკონომიური პოტენციალით მსოფლიო სოციალიზმი უსწრებს ახლა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე სახელმწიფოთა დასავლეთევროპულ ჯგუფს. დიდი ნაბიჯებია გადადგმული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების გზაზე. აწყობილია საერთო პოლიტიკური კურსის გამომუშავების ეფექტური მექანიზმი — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის რეგულარული სხდომები, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრები ყირიმში, სხვა მრავალმხრივი და ორმხრივი შეხვედრები და ა. შ.

განმტკიცდა სოციალიზმის ქვეყნების ინტერნაციონალური სოლიდარობა მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმთან, ყველა ძალებთან, რომლებიც იბრძვიან ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის. გაფართოდა ახალი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების დიაპაზონი, სოციალიზმის იდეები სულ უფრო ღრმად იჭრებიან მასების შეგნებაში პლანეტის ყველა კუთხეში, ადაფრთოვანებენ მათ თავიანთი ინტერესების დაცვისათვის, რეალისტიკური გარდაქმნებისათვის საბრძოლველად. სოციალიზმის ქვეყნების შეთანხმებულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა იმ ზიანის კომპენსაცია, რომელიც მაოისტების გამითქვეფამ მოაყენა სოციალიზმის პოლიტიკურ პოზიციებს, მის მორალურ პრესტიჟს. პეკინის ხელმძღვანელობამ, რომელმაც თავიანთი ღონისძიებანი შეიერთეს იმპერიალიზმის მეცადინეობას, ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ სოციალიზმის გაძლენის ზრდისათვის მსოფლიო ასპარეზზე.

სოციალისტური ქვეყნები სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემის — ომისა და მშვიდობის პრობლემის გადაწყვეტაში. სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებულმა მშვიდობის პროგრამამ და მისმა პრაქტიკულმა რეალიზაციამ ღრმა ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო მოვლენათა განვითარებაზე.

სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურმა ინიციატივებმა, საბჭოთა კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მიერ ვიეტნამში, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში, ბერლინში, ევროპაში, ევროპის ცენტრში, ევროპის ჩრდილოეთში, ევროპის ბალკანეთში, ევროპის ხიდებზე, ევროპის ფოლადებზე, ევროპის ბაზრებზე, ევროპის ბანკებზე, ევროპის ბანკნოტებზე, ევროპის ბანკირებზე, ევროპის ბანკეტებზე, ევროპის ბანკეტებზე, ევროპის ბანკეტ

ივნისი 16 პარასკევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აპრეგენების დღეა

მწერლის შრომა

მაესის შეგნებული ცხოვრება გრიგოლ აბაშიძემ დაიწყო იმით, რითაც თითქმის ყველა წერაკითხვის მცოდნე ქართველი იწყებს და რაც შემდგომ, იშვიათ გამონაკლისს გარდა, ყველას ავიწყდება. — ლექსების წერით. უფრო გვიან გამოქვეყნდა მისი პოემები „შავი ქალაქის გაზაფხული“, „გითრგი მეექვსე“, „ძლევის ქედი“, „ზარსმის ზმანება“, პიესები „მოგზაურობა სამ დროში“, „დედა“.

უკანასკნელი ორი ათეული წლის შანძილზე მისი შემოქმედება ძირითადად პროზას ეთმობა. მწერლის ალამს ეკუთვნის სამი ცნობილი რომანი „ლაშარელა“, „დიდი ღამე“, „ყორნალი“. მოთხრობების რამდენიმე კრებული. ის აგრძორა აგრეთვე მთელი რიგი ლიტერატურული, ისტორიულ-ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოებათა კარნახით დაიწერა.

მაგრამ გრიგოლ აბაშიძე ყველგან და ყოველთვის უწინარეს ყოვლისა პოეტი იყო, პოეტად რჩება და ხელინდელ დღესაც პოეტის თვალით გაჰყურებს.

ჩვენი პირველი სიტყვაც ამას ეხება.

საეულისხმოა, რომ გრიგოლ აბაშიძემ ახალგაზრდობაშივე მიიპყრო თანამოკალმეთა განსაკუთრებული ყურადღება, ჯერ კიდევ თავისი პოეტური ბიოგრაფიის გარიჟრაჟზე გამოირჩა თანატოლთა შორის. იგი ქართულ პოეზიაში შემოვიდა მაღალი ეროვნული შეგნებით. ჩვენი მწერლობის დიდოსტატთა კლასიკური მაგალითი — მუდამ ან ხდებდა და აწსნვებდა მას როგორც ლიტერატურულ, ისე მრავალფეროვან საზოგადოებრივ საქმიანობამდე. საერთოდ კლასიკური გამოცდილება ფუძეთა ფუძეა გრ. აბაშიძის პოეზიისა.

ქართული ლექსის განვითარებაში მას წილად ხვდა არა ექსპერიმენტატორის და გზის გამკვალავის, არამედ ერთგული შეგირდისა და დამაგვირგვინებელი ოსტატის როლი.

მისი შემოქმედებითი პათოსი იყო არა ძველის, დაწკვიდრებული ტრადიციის კადნიერი ხელყოფა, არამედ მთავფეტულის სრულქმნა და გაღრმავება.

გრ. აბაშიძის პოეტური დიაპაზონი უაღრესად ფართოა: მას დაწერილი აქვს რამდენიმე უტკბესი ლირიზმით გამთბარი, განსაკუთრებული ადგილით სავსე ინტიმური ლექსი. საქვეყნოდ ცნობილია მისი „ეაქვიგაზდელი“ — საბჭოთა პატრიოტული ლირიკის ანთოლოგიური ნიმუში. სინამდვილის მასშტაბური აღქმით მას ყოველთვის ახასიათებდა ფართო ლირიკული შინაარსის ტალღებით გატაცება, რამაც საბოლოოდ მის პოემებში და ისტორიულ რომანებში ჰპოვა ლოგიკური გამოხატულება.

გრ. აბაშიძის ცხოვრების გზა უადრესად დამახასიათებელია მთელი ისტორიული ეპოქის (ეს ბოლო სიტყვა დღეს 70-იანი წლების გადასახედიდან უკვე მაღალფარდოვნად აღარ მოისმის) ლიტერატურული მოძრაობისთვის.

როგორც საბჭოთა საქართველოს მეცნიერმა, მან ჯაიარა ყველა ბილიკი, ყველა ადმართი, ყველა ბეწვის სიდი და განსაცდელი, რაც კი ამ გზაზე იდო. მაგრამ მის ბასრ მწერლურ გონებას განვლილ დღეთა ანგარ არ მოჰკიდებია.

ის თანამედროვე საბჭოთა მწერლობის იმ რჩეულ წარმომადგენელთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც ეყოთ შინაგანი ძალა და გაბედულება, რათა თვალი გაეს ფერებინათ ეპოქის შეჩერებული მოძრაობისათვის.

გრიგოლ აბაშიძის პოეტური შთაგონება მარტოოდენ ხაზარზიმო განწყობილებებით არ ფრთაშესხმულა. მან იცის მტკივნეული ფიქრის, ფხიზელი განსჯის. ძიების ფასიც. კატეგორიობის ისტორიაში ის ფონეერი საწყისის — სიკეთისა და სინათლის განუხრელ აღმავლობასთან ერთად ხედავს უამრავი უკონობის, საბედისწერო შეცდომების, ძალმომრეობის, უსამართლობის „ვეფხვი ჩრდილსაც“.

როგორც რემბრანდტის სკოლის მხატვარმა, ისეთი შუქ-ჩრდილით წარმოსახა მან განსაკუთრებით 50-60-იანი წლების ლექსებში კაცთა მოდგმის მამძიძავებელ ვნებათა სარბილი.

„ეგვიპტურ ციკლში“ პოეტმა შეძლო ეგზოტიკის სამსილქვეშ განეცხრიტა ირაერთგზის განმეორებული შემზარავი დრამა ისტორიისა — ლემოსისა და ტანტალის, ადამიანის ბუნებრივი მისწრაფებისა და გაფიტრშებული თვითმპყრობელობის მტრული შეუთავსებლობა, სახელოვან ფარაონთა ძველი დიდების ანტიპუმანური არსი:

დაბლა გართხმული ვეება
ჩრდილით
დგას პირამიდა როგორც
მყინვარი.
მიეღლოვ ქვებზე პატარა
მღილი,
ჩუმი, უღონო და უჩინარი.

განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა ამდროინდელ ლექსებში პოეტის ღრმა სიძულვილი ყველაფრისადმი, რაც ზღუდავს და აკნინებს ადამიანის შემოქმედ სულს, რაც მის ამქვეყნად ყოფნას „უჩინარი მღილის“ არსებობასთან ათანაბრებს.

სწორედ ამ დროსვე გამოიკვეთა გრ. აბაშიძის ლირიკაში ხალხის ცხოვრებასთან, მის ისტორიულ ბედ-იღბალთან წილნაყარი, პოეტის მუდმივი მაქსიმალური უმდაკეთო პასუხისმგებლობის შეგნება, პასუხისმგებლობისა ყველაფრის გამო, რაც მის გარემომცველ სამყაროში ხდება.

„თურმან თორელის ლექსებში“ ჯონების თვალით წარსული მიმხილვა ჰეროიკული სურათების გვერდით ადამიანის ტრაგიკული დაცემის უფსკრულისაც წარმოაჩენს.

პოეტის რწმენით ყოველი პიროვნება, ხოლო პირველ რიგში პოეტი როგორც საუკუნის პირმშო და ფიქრთამპყრობელი სულით და ხორცით თანაზიარია თავისი დროისა. მაღალი ნაგთსაყოველი, გადარჩენის კონცხი, „სპილოს ძვლის კოშკი“ მხოლოდ გულუბრყვილოთა მონაგონია:

სისხლს ვერ ვხედავდი
(რარიგად წვიმდა),
მჯეროდა, თუმცა ყრმა არ
ვიყავი,
რომ შემრჩებოდა პირანგი
წმინდა —
სისხლის წვეთებით
დაფენწყლავი,
მაგრამ ჩემს ახლოს ელავდა
ცული,
დაკლული ბავშვი სადღაც
ეგოდა...
სისხლმოოცხებელს,
შეურყვნელს სულით
რა გამიყვანდა სასაფლაოდან!

წარსულის იდეალიზაცია ის მიამტკი ცრურწმენაა, რომელსაც სიმწიფის ასაკში შესული გონებაგაფვრთნილი მწერალი სამუდამოდ უარძალავს თავის თავს: ასე იწერება მისი ისტორიული ტრილოგიის პირველი წიგნი „ლაშარელა“. ეს რწმენა უდგეს საფუძვლად „დიდ ღამესაც“, ასე მორნის ბერტრის თვალსაზრისი მესამე რომანის („ცოცხალ ან ქართველთა დაცემა და ამაოება“) გამოქვეყნებულ ნაწილებშიც.

საჭიროა იფქვას, რომ პირველი ნაწარმოები ამთავითვე იქცა ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობის საკმაოდ მწვავე რეაქციის საგნად.

უკანასკნელ დროს ქართულ კრიტიკაში გამოითქვა აზრი, რომლის თანახმად დავითისა და თამარის სამეფოს — „დიდი საქართველოს“ დაცემა XIII საუკუნეში გამოიწვია არა შინაგანმა ჭირმა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გარეშე მტრის მომძლავრებამ. ეს მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია, ისევ როგორც სხვა შეხედულებებიც ამ საკითხზე. მათი საბოლოო გარკვევა და შეჯერება სპეციალისტების საქმეა. მაგრამ, მე მგონი, თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის დიდად საგულისხმო უნდა იყოს „ლაშარელას“ ისტორიული კონცეფციის დედაზარი. გრ. აბაშიძე როგორც მხატვარი, ისტორიაში ეძიებს გაჯვთიოლს, მინიშნებას და მისი დასკვნა დაასლოებით ასეთია:

ერი, რომლის წარმომადგენლები (მით უმეტეს თუ უკანასკნელნი მეზეკურნიც არიან თავიანთი ქვეყნისა) ეთიკური განურჩეველობის, ეგოისტური განკერძოების გზას დაადგნენ, ერი, რომლის ზნეობას საყრდენი ბურჯები მოერღვა, აუცილებელი კატასტროფის წინაშე იმყოფება...

გრ. აბაშიძე რეალისტურად მოაზროვნე მხატვარია: მის მოქალაქეობრივ და შემოქმედებით მრწამსს მდიდარი გამოცდილება, ფხიზელი ალღო და მკარი ცოდნა უდგეს საფუძვლად.

ბუნებრივია, რომ მას თავისი ხალხის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში მხოლოდ ცალკეულ (თუნდაც ღირსშესანიშნავ) მოვლენათა „გამომზეურება არ აკმაყოფილებს. მისი ზეამიცანა ისტორიის მთავარი კანონზომიერების შეცნობაა. ასეთი გზნებით არის დაწერილი ზემოხსენებული ტრილოგიის ბოლოთქმა „მწერალი და ისტორია“ — თანამედროვე ღირებულების მქონე, ბრწყინვალე ესეისტური ნაწარმოები, რომელიც ჩვენში შექმნილ ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშთა რიგს განეკუთვნება.

აქ მთელი სიცხადით ჩანს მოწინავეი მამულიშვილის ეროვნული სიამაყისა და ოპტიმიზმის სათავე — ქართველი ხალხის შემოქმედი ენერგია, მისი ქედუხრელობა. ჰუმანური მსოფლმხედველობა, მუდმივი მზადყოფნა შემძიმესი განსაცდელის ასაგანად, მისი თანდაყოლილი ნიჭი და ნატიფი შინაგანი კულტურა.

აქ არაფერი არ არის შელამაზებული, თვალის ხაამებლად დავარცხნილი ან ბაზვიადებული, და სწორედ ამის გამო მთელი სიგრძე-სიგანით მოჩანს ხალხის შრომისა და შემოქმედების სიდიადე, ხასალსო სულისკვეთების შეემუსვრელობა.

მე ხშირად მიფიქრია, რა ამძიგდა ჩვენი დროის ქართული საბჭოთა მწერლობის ზოგიერთ სახელმოსვეჭილ მიდრეკილებას, რომელთა ცხოვრების მოწმე მეც ვიყავი, მუდამ იარაღშესმულნი, შემართულნი მდგარიყვნენ შინაურისა თუ სტუმრად მოსულის. მტრისა თუ მოყვრის, დიდისა თუ პატარას წინაშე, სულ ერთია ნენაი იქნებოდა მათი იარაღი, ტრიბუნა, რედაქტორის კალამი, სცენა თუ პედაგოგის კათედრა.

რა არ აძლევდა მათ მოსვენებას, რატომ ტრიალებდნენ მუდამ ხალხში, დიდ მოედნებზე, ორპირ ქარში, რაკრამ იდგნენ ყოველთვის იქ, სადაც სიცოცხლე დუღდა, სადაც დიდ თვლებს გაჰქონდათ დრეტიალი: ნუთუ მხოლოდ იმ მიზნით, რომ საქვეყნოდ გამოჩენილიყვნენ?!

ეთუოდ არა!

მათი მამომძღავებელი ძალა, მათი მარადი მოუსვენრობის, მათი აჩქარებული გულისცემის მთავარი მიზეზი წინამორბედთაგან გადმოღებული „სენი“ — სახალხო საქმის თავდავიწყებული ერთგულება იყო, იმის შეგნება, რომ „შენს საქმეს“, შენს ვალს სოფლისა და ერის წინაშე შენს მაგივრად ვერავინ აღასრულებს. გრიგოლ აბაშიძე მე ამ პიროვნებათა ღირსეულ მემკვიდრედ წარმომიდგება. ისიც მათსავით სიყრმითვე, სამუდამოდ შეპყრობილია ამ მშვენიერი სენით და განკურნებაზე ოცნების დროც კი არა აქვს.

ბევრი დღე და ღამე, რომლებიც მავანთა და მავანთ პირად სიამოვნებას მოანდომეს, მან ხაქვიანო ინტერესების სადარაჯოზე დგომას, მათზე ფიქრს და მეურვეობას, აურაცხელი „წერილმანი“ საზრუნავის მოგვარებას, არაერთი სამაგალითო მისიის ღირსეულად შესრულებას და, რაც მთავარია, მშფოთვარე შეუსვენებელ შრომას, შემოქმედებას, მთავრობას შეალია, ამიტომაც დაასახელა ხალხმა გრიგოლ აბაშიძე თავის რჩეულთა შორის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, დაასახელა და თავის ხმასაც ერთსულოვნად მისცეს.

გურამ ასათიანი.

ხიუტი კანონის ნაცვლად

ბუენოს-აირესი, 7 ივნისი. (საკდესი). ჩილეს სამხედრო ხუნტა, რომელმაც ხისხლიანი ამბოხების შედეგად აიღო ძალაუფლება, სახალხო ერთიანობის დამხობილი მთავრობის მომხრეებს ბრალად სდებს „ამბოხებას“, „ღალატს“ და სხვა „დანაშაულობებს“. სწორედ ასეთ ბრალდებათა საფუძველზე სამხედრო პროკურორმა ორლანდო გუტიერესმა მოითხოვა ყოფილი ავიაციის პოლკოვნიკის ერნესტო ბაეს, ბუსმანისა და რიგითი ჯარისკაცის რიკარდო გალეფასის სიკვდილით დასჯა, რადგან ისინი აქტიურად უქერდნენ მხარს სახალხო ერთიანობის მთავრობას.

67 სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო პირს შორის ისინი მიცვეული არიან სამხედრო ტრიბუნალის სამართალში. სხდომათა დროს, რომლებიც უკვე თვენახევარზე მეტია გრძელდება, განსასჯელნი პრაქტიკულად მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს, ჩამორთმეულია აქვთ დაცვის უფლება, სასამართლო ხელისუფალნი დევნიან ადვოკატებს, სამუშაოდან ითხოვენ და პრაქტიკის უფლებას ართმევენ იმისთვის, რომ ისინი „მეტად აქტიურად“ იცავდნენ თავიანთ კლიენტებს.

ხუნტა იმასაც კი ცდილობს, რომ დაამკვიდროს საბჭოელი კონცეფცია სახალხო ერთიანობის მთავრობის „უკანონობის“ შესახებ, თუმცა ეს მთავრობა კონსტიტუციის შესაბამისად შექმნა პრეზიდენტმა ალიენდემ.

სხვა განსასჯელთ „სამოცდაშვიდის პროცესზე“ ემუქრებათ სიმუდამო ან მრავალი წლის პატიმრობა. მაგალითად, სენატის წევრს სოციალისტური პარტიისაგან ერიკ შნაკეს პროკურორის მოთხოვნით 30 წლის პატიმრობა ელის, სახელმწიფო ბანკის ყოფილ ეიეე-პრეზიდენტს კარლოს ლასოს — სამუდამო პატიმრობა.

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

კვიპროსის უშიშროების ძალების ოპერაციები

ნიკოზია, 7 ივნისი. (საკდესი). კვიპროსის უშიშროების ძალები განაგრძობენ ოპერაციებს ქვეყანაში ტერორისტული იატაკქვეშეთის ჩასახშობად.

გუშინ გიჰხრიკეს ლარნაკისა და ფამაგუსტის რაიონის სოფლები, სადაც იპოვეს ტყვიაწამალი და სურსათის მარაგი, რომლებიც განკუთვნილი იყო ტერორისტებისთვის, ავრეთვე „ეოკა-2“ არალეგალური ორგანიზაციის დოკუმენტები. პოლიციამ აღმოაჩინა ავრეთვე ტერორისტთა თავშესაფარი ინგლისის დეკელის სამხედრო ბაზის რაიონში. ოპერაციის დროს დაპატიმრეს 19 კაცი, რომლებზეც ეჭვი აქვთ, რომ ისინი არალეგალური ორგანიზაციის წევრები არიან ან ხელს უწყობენ ტერორისტებს.

გაზეთი „ხარავგი“ აღნიშნავს, რომ ტერორისტთა სამალავები და თავშესაფარი აღმოჩენილია კუნძულზე უშფალად ეგრეთ წოდებული „სუვერენული ინგლისის ტერიტორიის“ ახლოს.

ითქვა, მაგრამ...

როგორ ასრულებენ ლაგოდეხის რაიონში ხუცუბნელთა და ტყვიაველთა თაოსნობის საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებებს

როგორც ყველაფერს, ამ საქმესაც თავისი დასაწყისი აქვს. გავიხსენოთ თუ როგორ სწრაფად გავრცელდა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნისა და ბორის რაიონის სოფელ ტყვიავის მშრომელთა ინიციატივა. მათ სამსჯავროზე გამოიტანეს და სამარცხვინო ბოძზე გაკრეს მუქთახორები, სპეკულანტები, ხულიგნები, ყველა ჯურის ხორცმეტები.

ამ საქმის ორგვლივ თავიანთი სიტყვა თქვეს ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა. ყრილობები ყველა სოფელში გაიმართა, ბევრი მუქთახორა გამოსწორდა, დაფარნენდა სოფელს, კოლმეურნეობას, ხოლო ურჩსა და გაუგონარს თავისი მიეზღო.

სხვა მაჩვენებლებთან ერთად, წესრიგისა და მაღალი დისციპლინის განმტკიცებისათვის ბირტვის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს დაწესებული აქვთ გარდამავალი წითელი დროშა. ამ დროშას მეორე წელია ფლობს ცოდნის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე თამარ კაპანაძე). აქ უკანასკნელი წლის მანძილზე არც ერთი დანაშაული არ მომხდარა.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ ყველგან ასე იყოს, მაგრამ ადგილებზე საქმის შესწავლამ სულ სხვა გვიჩვენა.

ამა თ რა მომთხოვნელობასა და კონტროლზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ბაისუბნისა და კაპლის სასოფლო საბჭოების მესვეურებმა — აღმასკომის თავმჯდომარეებმა შ. ბუბითიძემ და ი. შამდოვმა, ბუღალტრებმა თ. გელაშვილმა და ა. სოფოევმა და მათთან ბოროტად დაკავშირებულმა პირებმა ხელი მიაყვეს სახელმწიფო ქონების განიავებას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამისათვის მათ საკადრისი პასუხი მიიღეს, მაგრამ სასოფლო საბჭოებში მაინც იმატა უწესრიგობამ, დანაშაულობებმა. უკანასკნელ ორ წელიწადში კაპლის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე აღრიცხულია სისხლის სამართლის ათობით დანაშაული.

თავის დროზე კაბლელებმა სასოფლო ყრილობის დადგენილებაში ჩაწერეს — „აქტიურად ჩავაბამთ ჩვენი სოფლის ყველა მშრომელს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, განვდევნით ხულიგნებს, ლოთებს, უსაქმურებს“. თუ როგორ განდევნეს თავიანთი რიგებიდან ქურდები, ხულიგნები და ლოთები, ეს ჩანს მომხდარი დანაშაულობებიდან. რაც შეეხება უსაქმურებს, ასეთები სოფელში 140-ზე მეტია. შარშან მათ კოლმეურნეობაში არც ერთი კაცდღე არ გამოუმუშავებიათ. ამაში უპირველეს ყოვლისა სეიდავენ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. ულუხანოვი, ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ბაირამოვი, სასოფლო საბჭოს დეპუტატები. მათ ერთხელაც არ შეუმოწმებიათ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულება.

შეიძლება ითქვას, რომ ბაისუბნელთა საზეიმო დაპირებებიც ქაღალდზე დარჩა. ერთ ხანს სოფელში გამოჩნდნენ წესრიგის დამცველი სახალხო რაზმელები, მაგრამ ამას შემდეგ ისინი არავის დაუნახავს. რაზმეულის უფროსი მ. გორგაძე შეეცადა საქმის ვითარება სხვანაირად მოეჩვენებინა, მაგრამ, როცა მას მორიგეობის სია და საქმის აღრიცხვა მოვთხოვეთ, განაცხადა, გულახდილად გეტყვით, წელს არაფერი ვაპიკეთებიათ. ჩვენ ისეთი შეხვედრა დაგვრჩა, რომ ამ მხრივ ბევრი რამ არც მას და არც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. ლომსაძეს გასულ წელსაც არ გაუკეთებიათ. ასე რომ არ იყოს, უკანასკნელ ორ წელიწადში ბაისუბანში სისხლის სამართლის რამდენიმე დანაშაული არ მოხდებოდა.

ლაგოდეხის ეთერზეთების ქარხანაში რამდენიმე მუშა ხშირად ნასვამი ცხადდებოდა. ალკოჰოლური სასმელის მიღებას ისინი ზოგჯერ შესვენების საათებშიც ეწ ახერხებდნენ. ეს საკითხი კრებაზე მსჯელობის საგანი გახდა.

სოფელ ყარსუბანში წლების მანძილზე ერთი მტკაველი მიწისათვის დავობენ მეზობლები ბორგი გოგოლაძე და ალექსანდრე ნინაძე, კოტე განგლაძე და ლაზარა გელაშვილი, მამა-შვილი მოთა და ნოდარ თაბაგრები. ნუთუ ისინი ვერავინ დაარწმუნა, რომ მათი საქციელი სამარცხვინოა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა დაამორჩილნენ კოლმეურნეობის თუ სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებას, დეპუტატთა კეთილ რჩევას.

ამავე სოფელში ოთხი შვილის მამამ ტარიელ ოზბეთელაშვილმა სრულიად უსაფუძვლოდ მიატოვა ოჯახი და მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა. ასეთი „ტარიელები“ სოფელში ცოტა როდია. მარტო გასულ წელს 100-ზე მეტ კაცს მონწილეობა არ მიუღია საკოლმეურნეო შრომაში, ხოლო 124 კაცს შრომის საგალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია.

კოლმეურნეთა ერთი ნაწილი გატაცებულია პირადი მეურნეობით. დიდ ფართობზე თესავენ სადრეო ბოსტნეულს, მეტ დროს ანდომებენ საკარმიდამო ნაკვეთებში მუშაობას. კოლმეურნეთა წლიურმა დატვირთვამ გასულ წელს 120-130 კაცდღე შეადგინა. გამოდის, რომ თვითეული კოლმეურნე სამ დღეში ერთ დღეს ძუშაობს კოლმეურნეობაში.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაცია, აღრიცხვა მოუგვარებელია. გასულ წელს ნინიგორის კოლმეურნეობაში 265.000 კაცდღის ნაცვლად შესრულებული აღმოჩნდა მხოლოდ 133.000 კაცდღე. მსგავს მოვლენებს ადგილი აქვს ცოდნისკარისა და სხვა კოლმეურნეობებში. არის შემთხვევები, როცა შვილის ნამუშევარი გაბრდილი პენსიის მიღების მიზნით ეწერება მშობელს, ხოლო მშობლის ნამუშევარი ინსტიტუტში ცნობის წარსადგენად — შვილებს.

დიდძალი საკოლმეურნეო თანხების დატაცებას ჰქონდა ადგილი სოფელ აფენის კოლმეურნეობაში. ამ საქმეზე დაპატიმრებული არიან კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე შ. გველესიანი, ბუღალტერი ი. გუგუშვილი, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი ნ. მეტრეველი, თამბაქოს დამამზადებელი პუნქტის გამგე ა. ყაველაშვილი და სხვები.

ლაგოდეხის რაიონში მომხდარი დანაშაულობანი, დარღვევები და ნაკლოვანებები, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქალაქად თუ სოფლად, იმაზე მეტყველებენ, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, ადგილობრივი ხელისუფლებამ ორგანოებმა, პირველ რიგში კომუნისტებმა, დეპუტატებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

საწარმოო და შრომის დისციპლინაზე, მის დამრღვევებზე ბევრი ითქვა რაისაბჭოს ამას წინათ ვამართულ სესიაზე, რომელმაც ერთხელ კიდევ განიხილა ეს საკითხი, მაგრამ განხილვა ერთია, შესრულება კი მეორე...

დროა სიტყვიდან საქმეზე ავდგეთ, საქმე კი, როგორც იტყვიან, თვის თავს თვითონ გამოიჩენს.

ვლ. ფეიდლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა საბრძოლო ამოცანები

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის IV პლენუმი

6 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის IV პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციათა ამოცანები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ. მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. გოგოხიამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგანმანათლებლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მიქელაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ჯ. ძიძარია, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ჯ. ჩხეიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდია, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ს. გამრეკელი, საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი მ. სტაროკაძე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ორჯონიკიძე, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ხოსროვი, მწერალი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ს. ფხაკაძე.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავენ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების და აუს. ლ. ი. ბრეჟნევის ალმა-ათაში გამოსვლის მისეულთან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესრულებას. ამ ისტორიულ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის, მისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი, რომელიც მეკავშირეებისა და პრინციპული ბოლშევიკური საქმიანობის ნიშნით მიმდინარეობდა, უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

ორგანორგებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, პლენუმებისა და აქტივთა კრებების გადაწყვეტილებებით, ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის მშრომელთა შორის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის ფართოდ გავრცელებისათვის, ლექციური პროპაგანდის იდეური დონისა და ქმედითობის ამაღლებისათვის.

საზოგადოების ორგანიზაციებმა საწარმოებსა და დაწესებულებებში კომუნურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში და მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებზე 1973 წელს გამართეს 284 ათასზე მეტი ლექცია. დიდი ყურადღება ეთმობა პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა პროპაგანდას.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდისათვის რესპუბლიკაში აქტიურად მუშაობს 403 სახალხო უნივერსიტეტი, სადაც 63 ათასზე მეტი კაცი სწავლობს.

საზოგადოების მთელი რიგი საოქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები, სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოები აქტიურად მუშაობენ ლექციური პროპაგანდის ორგანიზაციის, მისი თემატური მიმართულებისა და სამეცნიერო-მეთოდიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური, სამართლებრივი და შეფადაგოგიური ცოდნის პროპაგანდა. გაუმჯობესდა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.

ამასთანავე მოხსენებაში და გამოსვლებში აღინიშნა, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები ლექციურ-პროპაგანდისტულ მუშაობაში არ ითვალისწინებენ თანამედროვე პირობებსა და გაზრდილ მოთხოვნებს. ლექციებსა და მოხსენებებში. მასობრივ ღონისძიებებში ზოგჯერ ობიექტურად არ არის გაანალიზებული საზოგადოებრივი პროცესები, არ არის ღრმა მეცნიერული მიდგომა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებისადმი, ისინი ხელს არ უწყობენ მშრომელთა მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობას წარსული წლების შეგიდმეტის წინააღმდეგ ბრძოლისაზვის.

საკმაო პოპულარიზაცია არ ეწევა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული, ხშირად ღრმად არ არის გაანალიზებული პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები.

ლექციური პროპაგანდა ყოველთვის რდოა დაკავშირებული სამეურნეო-კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან. ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის დონე და შინაარსი ლაგოდეხის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, ჭარელის, ქედის, ცაგერის, წალენჯიხისა და წყალტუბოს რაიონებში ჯერჯერობით არ შეესაბამება „მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებს. ლექციურ პროპაგანდაში ჯერ კიდევ ცოტა ადგილი ეთმობა სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილების ფართო გავრცელებას.

პლენუმის მონაწილეებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანეს ამოცანას — იმ დებულებებისა და დასკვნების ღრმა და საფუძვლიან განმარტებას, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა თავის სიტყვაში ალმა-ათის საზეიმო სხდომაზე, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განმარტებას.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს ლექციური პროპაგანდის იდეური დონისა და ქმედითობის ამაღლებას, მშრომელთა დარაზმვას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარების იმ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა დასახა.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში დამსახურებისათვის პლენუმზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვ. გულისაშვილს გადაეცა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის სახელობის მედალი. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აქტივისტთა ჯგუფს გადაეცა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ საპატიო სიგელები და სამკერდე ნიშნები. (საქინფორმი).

ტელეტაიპის ლენტიდან...

საგანგებო ჯარების ჩასვლა

● ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდ

საქართველო მთა-ბარში

სიახლე მთაში

დღევანდელ თაობას მხოლოდ ეთნოგრაფიული წერილებისა და ხანმოკლე ესსეთა მონათხრობის მიხედვით თუ შეუძლია წარმოიდგინოს ის სამწარე და ხიდუბეჭრე, რასაც განიცდიდა ხევსური მოსახლეობა წინათ. დღეისათვის ყველაფერი ეს ისტორიის კუთვნილება გახდა.

ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზამ გადასჭრა მთა დათვის ჯვარი, ჩავიდა შატილს, გასცდა ანატორს და ციხე-სიმაგრე მუცოსაკენ შეუხვია...

გზას ელექტრონის სინათლეც მოჰყვა თან — ელნათურები აკაშკაშდნენ ხევსურეთის მთიან სოფლებში — მოწმეში, გვედლეთში, ჩირდილსა და ბუჩუკურთაში. ახლახან კი ასრულდა ხევსურეთის მთიანი სოფლების ბისოსა და ხასმატის მცხოვრებთა ნანატრი ოცნებაც — აკიაფდნენ ილიჩის ნათურები.

ამ კეთილშობილ საშვილიშვილო საქმეს ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავარნენურგოს ზაპესის პირველი კასკადის დირექტორი დამსახურებული ინჟინერი ალექსი ხეთაგური. ზამთრის რთულ პირობებში სამჯერ ამოვიდნენ ხასმატში ინჟინერ-მექანიკოსები გ. დიბლია, ნ. ტატაიშვილი. ენერგიულად და გულმოდგინედ იმუშავეს საქსოფლმშენის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა.

თვალს გადავლებს ხასმატელი ხევსური ილიჩის ნათურებით გაჩახჩახებულ კარმიდამოს და მსურავალე მადლობის სიტყვები ამოსდება გულიდან. — მადლობა საბჭოთა ხელისუფლებას, მადლობა პარტიას მზრუნველობისათვის, დიდი სიკეთისათვის.

თ. ალუდაური,
პარისახოს სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი.

□

„ურიელ აკოსტა“ სახალხო თეატრის სცენაზე

ოდნის სახალხო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, რომლის რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე, ნაყოფიერად მუშაობს, მის დადგმებს რიგი-რიგად გარდა იცნობს ფართო მაყურებელი. ამ დღეებში თეატრმა მაყურებელს უჩვენა გუცკოვის „ურიელ აკოსტა“. დადგმა და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ჯაფარიძეს, რომელიც ამავე დროს ასრულებდა ურიელ აკოსტას როლს. სპექტაკლი რამდენიმეჯერ ნახა მაყურებელმა. თეატრმა „ურიელ აკოსტაში“ მონაწილეობის მისაღებად მოიწვია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე, რომელმაც თვდითის როლი განსახიერა. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა.

ნ. დუშუაშვილი.

გედების ტბა ჭიათურაში



ჭიათურა. (საკ. კორ.). ხულ უფრო ლამაზდება ქართველ მაღაროელთა ქალაქი. შეკეთდა ნაზამთრალი ქუჩები, მოედნები, დაირგო ათასობით ძირი მარადმწვანე მცენარე, საფუძვლიანი რეკონსტრუქცია გაუკეთდა ფეხით მოსიარულეთა ხიდს მდინარე ყვირილაზე. მიმდინარეობს მეორე ხიდის გაფაკეთება, რომელიც აერთებს კომკავშირისა და ნიკოპოლის ქუჩებს.

მოასფალტდა ნინოშვილის ქუჩა. აქ გამოიყვანეს სასმელი წყარო. მშრომელთა ყოველთვის სასურველი დასასვენებელი ადგილი იყო კულტურის სასახლის ეზო. ახლახანდელი კიდევ უფრო დამშვენა გედების ტბამ. მის მოწყობაზე ენერგიულად იმუშავეს მარგანმშენის ტრესტის ინჟინრებმა, მშენებლებმა. აქ ყველაფერი თითქმის შაბათობით გაკეთდა.

ხურათზე: გედების ტბასთან.

ძალოსნობა

კვლავ ალექსეევი

იტალიის ქალაქ გერონაში დამთავრდა ევროპის 37-ე პირველობა. სპორტის მოყვარულები განსაკუთრებით დიდი ინტერესით მოელოდნენ ასპარეზობას მეორე მძიმე წონაში, რადგანაც ფიცარნაგზე გამოდიოდა მსოფლიოს ყველაზე დინჯი ადამიანი, შახტელი ინჟინერი ვასილ ალექსეევი.

ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონის ამჯერადაც საუკეთესოდ იასპარეზა — მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი და მსოფლიოს რორი ასალი რეკორდი დამყარა: ატაცში — 187,5 კგ. და ორჭიდში — 422,5 კგ.

საბჭოთა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში ოქროს ხუთი, ვერცხლისა და ბრინჯაოს ორ-ორი მედალი მოიპოვეს და 94 ქულით გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში.

ფეხბურთი

ოქრო ნაკრებს ეპყრა

ბუენოს ერეგანში „რაზანის“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი.

შეხვედრა — დამთავრდა ანგარიშით 6:1 პირველი ნაკრების სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ბლოხინმა (3), იშტოიანმა, კოლოტოვმა, შეპელმა, მეორე ნაკრებიდან — ფიოდოროვმა.

რამდენიმე სტრიქონით

ბაზრაპი. ნიცაში ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს 21-ე ხაჭადრაკო ოლიმპიადა. საბჭოთა გუნდი, რომელიც პირველ ჯგუფში გამოდის, პირველ ტურში შეხვდება შოტლანდიის ნაკრებს.

ფეხბურთი. ცნობილი გახდა, რომ 13 ივნისს მაინის ფრანკფურტის „ტუის სტადიონზე“ ბოაზილიისა და იუგოსლავიის ნაკრებთა მატჩის წინ ლეგენდარული პელე საპატიო დარტყმით თამაშში შეიყვანს „ადიდასის“ ფირმის „ტელსტარის“ ბურთს. ასე დაიწყება მსოფლიოს შე-10 ჩემპიონატი. შეჯიბრების ორგანიზატორებს განზრახული აქვთ კიდევ ერთი საინტერესო ცერემონიალი — პელე და ეკი ზე